რა ლოკალური და გლობალური გამოწვევები და ფაქტორები უნდა იყოს გათვალისწინებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში

შორენა ბადრიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
ინფორმაციის მენეჯმენტის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ინფორმაციის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია გაბრიჩიძე, მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

შორენა, ბადრიძე 07/06/2015

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ის გლობალური და ლოკალური გამოწვევები, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისას.

ამასთან დაკავშირებით შესწავლილ იქნა მსოფლიოს თანამედროვე მოწინავე ბიბლიოთეკების მართვის სისტემები და სერვისები. გამოიკვეთა ზოგადად მსოფლიო საბიბლიოთეკო სივრცეში არსებული ტენდენციები, რისთვისაც გაანალიზდა სხვადასხვა სახის ლიტერატურა და ვებ-გვერდები. ამავე დროს ბოტანიკის ინსტიტუტში ჩატარდა წინარე კვლევა, რისთვისაც გამოყენებულ იქნა კვლევის თვისებრივი მეთოდი - ინტერვიუ.

ჩატარებული კვლევის შედეგად შესწავლილია ბოტანიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის შიდა მართვის სისტემა, სერვისები და მომხმარებელთან ურთიერთობა. გამოიკვეთა ბიბლიოთეკის მუშაობისათვის აუცილებელი, მსოფლიოს თანამედროვე ბიბლიოთეკებში აპრობირებული ელემენტარული და მოწინავე საშუალებები.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები ბოტანიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის მენეჯმენტის ჯგუფისათვის. ეს რეკომენდაციები სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფს საშუალებას მისცემს უკეთ გააანალიზოს ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში არსებული ვითარება, დაგეგმოს მომავალში ჩასატარებელი საჭირო კვლევები და ამ სფეროში არსებული მსოფლიო ტენდენციებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით განახორციელოს სათანადო ცვლილებები ბიბლიოთეკის შიდა სტრუქტურის, მართვისა და სერვისების მიმართულებით. რის შედეგადაც გაიზრდება ინსტიტუტის ბიბლიოთეკის მომხმარებელთა რიცხვი და ცნობადობა.

საძიებო სიტყვები: სამეცნიერო-კვლევითი ბიბლიოთეკა, აკადემიური ბიბლიოთეკა, მენეჯმენტი, სამომხმარებლო სერვისები, განვითარების სტრატეგია.

Abstract

The global and local challenges, which must be taken into account while elaborating the strategic plan for the development of the library of Institute of Botany of Ilia State University has been presented in the study.

Accordingly, the management systems and services of the world leading libraries were investigated. The general tendencies of the world library system were established and different type of literature and web sites were analyzed. At the same time, the preliminary research was conducted at the Institute of Botany, and the method of interview was applied.

The internal management system of the Institute's library, its services and relations with customers has been studied. The basic and leading means for the functioning of the library, popular in the world were emphasized.

The recommendations for the management group of the library of the Institute of Botany were determined based on the made investigations. These recommendations will make possible for the working group to analyze the situation of the Institute's library better, to plan the future studies and to realize corresponding changes, which comprise internal structure, management and services, taking into, account the world tendencies and priorities in this field. This will increase the popularity and number of customers of the library.

Key words: scientific library, academic library, management, customer services, development strategy.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, მაგისტრ ნათია გაბრიჩიძეს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორს შალვა სიხარულიძეს და ინსტიტუტის ბიბლიოთეკის თანამშრომლებს: ჯონდო ჩიკვაიძეს, არჩილ ახალკაციშვილსა და აზა ბეჟუაშვილს.